დინამოელთა გამარჯვება

თბილისის “დინამოს” ფეხბურთელები ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრათა ჩასატარებლად იმყოფებიან თურქეთში, სადაც პირველი მატჩი გამართეს ქ. ანტალიაში, ადგილობრივ “ანტალია–სპორთან”.

დინამოელებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 3:0 (1:0). მატჩი მიმდინარეობდა მინდორზე, რომელსაც ბალახის საფარი არა აქვს. პირველ წარმატებას მე–9 წუთზე მიაღწია გუცაევმა, ხოლო 69–ე წუთზე მანვე მეორედ აიღო მასპინძელთა კარი. მატჩის დასასრულს გუცაევმა მორიგი გარღვევის შემდეგ ბურთი გადასცა ჟვანიას, რომელმაც მესამე გოლი გაგზავნა “ანტალია–სპორის” კარში.

თურქ ფეხბურთელთა საპასუხო იერიშებისას დამაჯერებლად მოქმედებდა დინამოელთა დაცვა. აღნიშნავენ ადგილობრივი გუნდის მეკარის მეჰმედ ალის და ნახევარმცველს ბილენტის კარგ თამაშს. თავდასხმაში გამოირჩეოდა მეჰმედი.

თბილისელთა რიგებში გამოიჩინეს თავი ხიზანიშვილმა, ჭილაიამ, გუცაევმა და მუჯირმა.

“ლელო”, 15 თებერვალი, 1982 წ.